მისია

,,დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად. რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.
იოანე ზოსიმე, ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

კოსმოსური ხომალდი მზის სისტემის პლანეტებს უახლოვდებოდა. ორნი პილოტების კაბინაში ყურადღებით აკვირდებოდნენ ხელსაწყოებს, ანათვალს იღებდნენ, აანალიზებდნენ მიღებულ მონაცემებს, თან დრო და დრო ცენტრალურ ბაზას უკავშირდებოდნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ.

- გაუგებარია ბოლოს მიღებული ინფორმაცია, აუცილებად უნდა გადავამოწმოთ! ნუთუ აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმების ისეთი განვითარებული პოპულაცია, როგორიც ადამიანია განადგურდეს? ისინი ხომ ლამის ჩვენი მსგავსნი არიან?

- ამას თუ არ გავაკეთებთ ადამიანები გაანადგურებენ ამ მშვენიერ პლანეტას და ეს იქნება გამოუსწორებელი ზიანის მომტანი მთელი სამყაროსთვის!

- მაგრამ აქ ხო პატარებიც არიან, ბავშვები, რომლებიც ერთ ხელს მეორესაგან ვერ ანსხვავებენ და მათ ხომ არაფერი დაუშავებიათ?

- შეიძლება მათ არც არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ ისინი გაიზრდებიან და დაემსგავსებიან თავიანთ მშობლებს! სიცოცხლის ეს ფორმა თავად ისწრაფვის თვითგანადგურებისკენ!

- მაინც არ მესმის, გადამეტებული და ნაჩქარევი გადაწყვეტილება ხომ არ არის? ადამიანები რატომ უნდა იღუპავდნენ თავს, მაშინ როცა ყველა ცოცხალი ორგანიზმი ცდილობს გარემო პირობებთან ადაპტირებას! ცხოველებიც კი, რომლებიც უფრო დაბალ დონეზე დგანან განვითარების, ცდილობენ როგორც თვითონ, ასევე თავიანთი ნაშიერები გადაარჩინონ!

- ეს აუხსნელ ფენომენად რჩება! რეალობა კი ის არის, რომ პლანეტა ძალიან მძიმე ვითარებაშია. ახლა მას სიცხე აქვს, ლამის იწვის, სრული კატასტროფის პირასაა და ამაში უპირველესად ადამიანია დამნაშავე! პრიმატების ეს სახეობა უნდა განადგურდეს! სხვა გამოსავალი არ არის, თორემ პლანეტაც დაიღუპება, რომელსაც როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივების ენაზე დედამიწა ქვია. ახლა ის დასვენებას საჭიროებს ადამიანისგან, რათა ისეთივე მშვენიერი და მიმზიდველი გახდეს საცხოვრებლად, როგორც წლების წინ იყო!

- ხო, მაგრამ იქნებ ეს არის თანმდევი შედეგი ტექნოლოგიების განვითარების. როგორც ბოლო მიღებული ინფორმაციები გვეუბნება, ადამიანები ახლა უამრავ ენერგიას მოიხმარენ, რისთვისაც ძირითადად იყენებენ წიაღისეულ საწვავს, რაც კავშირშია ატმოსფეროში სათბური აირების ემისიასთან. სწორედ ეს წარმოშობს სათბურის ეფექტს და იწვევს საშუალო ტემპერატურის ზრდას.

- და ვინ არის მერე დამნაშავე თუ არა ადამიანი? ცხოველებს ხომ არ აბრალებ ამას? დედამიწის ატმოსფერო, რომელიც ათასობით წლების განმავლობაში იდეალური იყო ყველა ცოცხალი ორგანიზმის სიცოცხლისათვის ბოლო წლებში მკვეთრად შეიცვალა. სწორედ

სათბური აირების კონცენტრაციის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია ის, რომ დედამიწა კოსმოსში ველარ აბრუნებს სითბოს, რომელსაც კოსმოსიდან, უპირატესად კი უახლოესი ვარსკვლავისგან ღებულობს, იცვლება კლიმატი, რაც იწვევს ბუნებრივ კატაკლიზმებს, როგორიცაა: ხანძრები, მყინვარების დნობა, ნიაღვრები, წყალდიდობები, ზღვებისა და ოკეანეების დონის აწევა, გაუდაბნოება. არსებობს ადამიანი, არსებობს პრობლემა, არ იქნება ადამიანი არც პრობლემა იარსებებს!

- ანუ ერთ სიცოცხლეს ვანადგურებთ, რომ სხვა სიცოცხლე გაგრძელდეს? ეს ჰუმანურია?!

- კიდევ ვიმეორებ, ადამიანები თვითონ ინადგურებენ თავს, რადგან არ უფრთხილდებიან დედამიწას და თუ პლანეტა განადგურდება, განადგურდება მათი სიცოცხლეც! ჩვენ რომც არ ჩავერიოთ ამ პროცესებში, ეს აუცილებლად მოხდება!

- ხო, მაგრამ ჩვენ ვაჩქარებთ მოვლენებს!

- დრო არ იცდის, უახლოესი პლანეტა, სადაც შეძლებს ჩვენი ცივილიზაცია გადმოვიდეს დედამიწაა. ჩვენ პლანეტას მხოლოდ ასიოდე წლის სიცოცხლე დარჩენია, მერე ჩვენი უახლოესი ვარსკვლავი ისე მოაუხლოვდება მას, სიცოცხლე გაუსაძლისი გახდება. თუ ადამიანებს გავანადგურებთ, რაც ძალიან მარტივად შეგვიძლია, ასი წლის შემდეგ დედამიწაზე იდეალურ პირობები იქნება საცხოვრებლად. უკვე დაწყებულია დიდი კვანტური სატრანსპორტო ხომალდის აშენება, რომლის სახელია კიდობანი. ჩვენი შთამომავლები ასი წლის შემდეგ გამოემგზავრებიან დედამიწაზე, ასე გადარჩება სიცოცხლის ის ფორმა, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ.

- ახალი ინფორმაცია გვაქვს ბაზიდან - ესეც ახალი დაბრკოლება! გვეუბნებიან, რომ სანამ რაიმე რადიკალურ ზომებზე გადავალთ, მათთან შევათანხმოთ - რაც ამ ვარსკვლავის სისტემაში შემოვედით, რომელსაც დედამიწაზე როგორც აღმოჩნდა მზეს უწოდებენ, ზუსტმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ აქ მცხოვრები ხალხის მცირე ნაწილი სწორედ იმ ენაზე საუბრობენ, რაზეც ჩვენ!

- ეს ინფორმაცია ჩემთანაც მოვიდა, ნუთუ ეს სიმართლეა?

- არ ვიცი, შეუძლებელია შეცდომა იყოს! გამოდის რომ დედამიწაზე იციან ჩვენი სასაუბრო ენა და დამწერლობა?!

- დროსა და სივრცის გამრუდებას და განზომილებათა სიმრავლის უსასრულობას ხანდახან ისეთ შედეგებამდე მივყავართ, რაც თითქოს საღ აზრს მოკლებულია - მართლაც საიდან უნდა იცოდნენ დედამიწაზე ის ენა, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ? თუმცა, დედამიწიდან წამოსულ ხომალდზე, რომლის დაფიქსირება მოხდა წლების წინ, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებთან ერთად იყო სიმღერა, სახელად ,,ჩაკრულო“, რომლის ტექსტი ჩვენს ენაზე იყო შედგენილი და მაშინ ეს ჩვენი პლანეტის კომპიუტერულ ხულიგნებს დაბრალდათ და კვლევები შეჩერდა!

- ბოლო ცნობებით, რასაც ბაზიდან გვაწვდიან აღმოჩნდა, რომ ქვეყანას, სადაც ეს ხალხი ცხოვრობს საქართველო ქვია. ამ პლანეტაზე სხვა უამრავი ქვეყანა და ენებიცაა, თუმცა მხოლოდ ამ ქვეყანაში ეძახიან მას დედამიწას, რაც, მშობელ დედასთან ასოცირდება.

- ეს ინფორმაცია წამოსვლის წინ რატომ არ გვქონდა?

- ალბათ არ იცოდნენ, შეუძლებელია ეს დაემალათ. როგორც აღმოჩნდა დაახლოებით რვა მილიარდ ადამიანს შორის, რომელიც ახლა დედამიწაზე ცხოვრობს, ამ ენაზე მხოლოდ ხუთი მილიონამდე ადამიანი საუბრობს, ანუ ძალიან მცირე ნაწილი.

- ანუ რა გამოდის ჩვენ ვაპირებდით იმ ხალხის განადგურებას, რომლებიც ჩვენს ენაზე საუბრობენ და ჩვენნაირი დამწერლობა აქვთ?

- ასე გამოდის, თუმცა ბაზიდან ბრძანებაა: გეგმა ,,ელვისებური შეტევა" შეჩერდეს!

- იცი, შენ არ ვიცი, მაგრამ მე შვებით ამოვისუნთქე. მიუხედავად იმისა, რომ დედამიწაზე ადამიანებს საღი აზრი ნაკლებად აქვთ, არ მემეტებოდა ისინი გასანადგურებლად თუნდაც იმიტომ, რომ როგორც იმ ხომალდის ინფორმაციების გაშიფვრისას აღმოჩნდა, მათ უამრავი ხელოვნების ნიმუშები შექმნეს. ახლა კი მე უკვე მიყვარს ის ხალხი, რომელთა გამო უარს ვამბობთ ადამიანების განადგურებაზე, რა მნიშვნელობა აქვს საიდან იციან მათ ჩვენი ენა, ან საერთოდ იქნებ ჩვენ ვიყენებთ მათ ენას?

- არა, ეს გამორიცხულია, რადგან ტექნოლოგიების განვითარების დონით მათ ბევრად ვუსწრებთ, თუნდაც იმიტომ, რომ დედამიწაზე არ აქვთ ზემძლავრი კვანტური ძრავები, რითაც ჩვენ გადავაადგილდებით სამყაროში. არ აქვთ რადარები, რომელთაც შეუძლიათ, ჩვენი აღმოჩენა, თუმცა გარკვეული წარმატებები კოსმოსური სივრცის ათვსებაში მათაც აქვთ, დაახლოებით აი ისე, დამწერლობა გქონდეს და მხოლოდ ,,აი ია" იცოდე!

- თუმცა შეჩერდეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს გეგმა საბოლოოდ დავივიწყოთ!

- არა, მოგვიწევს სხვა რომელიმე ეგზოპლანეტის მოძებნა, თუმცა აი ახალი ბრძანება: დავაკვირდეთ ხალხს, რომლებიც ჩვენ ენაზე საუბრობენ, თუმცა არანაირად არ მოხდეს მათთან კონტაქტი - მხოლოდ დაკვირვება!

- ალბათ მოგვიწევს მათთან სტუმრობა?!

- სტუმრობა რად გვინდა, შეგვიძლია ჩვენი ხომალდიდანაც დავაკვირდეთ, თან ნებისმიერი დრო ავირჩიოთ, გინდაც ახლანდელი, გინდაც ძველი!

- ჯერ ცოტა ძველი დრო აჯობებს, აი ვნახოთ ერთ დაწესებულებაში რა ხდება, რაზე საუბრობენ. მგონი გაზეთის რედაქციაა. როგორც ბაზა მკარნახობს, ეს საქართველოს უგვირგვინო მეფე ილიაა, მისი კაბინეტი. რაღაცას კითხულობს, რაც ეტყობა აშკარად მოსწონს...

- ... ბატონებო! გულმართლად მინდა გითხრათ: ჩვენ ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!

- თავადო, როგორც ვიცი, ვაჟა პეტერბუგში იყო და დაბრუნდა. რაკი ასე მოგწონთ მისი შემოქმედება, იქნებ ფული ავუგროვოთ და დასავლეთში, ვთქვათ ბერლინის უნივერსიტეტში გავგზავნოთ სასწავლებლად!

- ძალიან კარგი, რომ პეტერბურგიდან დაბრუნდა! ახლა კი გერმანიაში გინდათ გაგზავნოთ, რომ ჩონგური ჭერზედ შემოსდვას? არ მოგცემთ უფლებას, ფანდური მტვრით დაფაროს ან დაამსხვრიოს!

- მაშ, როგორ მოვიქცეთ?!

- ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება დიახაც სჭირდება, ეს უნდა იყოს თოფ-იარაღი, მაგრამ ვაჟას შემთხვევა სხვა არის, ის საქართველოს აქ სჭირდება! აქ, ოღონდ არა რედაქციის ოთხ კედელში გამომწყვდეული, სადაც მუშაობაც კი შევთავაზეთ და სამიოდ დღეს გასძლო მხოლოდ... ესეც მახარებს, ბულბული გალიაში დატყვევებული ისტვენს განა? დიახ, ის თავის მშობლიურ მთებში უნდა იყოს და თავისი ფანდურის ჟღერით მთელი საქართველო დაატკბოს! ვგონებ დღეს აპირებდა ჩამოსვლას თავის ხურჯინით! როგორ ამბობს, ჩვენ ბუნებაში ვართ და ბუნება ჩვენშიაო, თქვენ კი აპირებთ ის ამ ბუნებას მოსწყვიტოთ?

- ბატონო ილია, ვაჟა-ფშაველა გესტუმრათ!

- შემოვიდეს, ჩვენს ვაჟიკას ნუ ალოდინებთ! ... მოდი ფშაველო, რაღაც მოწყენას გამჩნევ, მთის არწივო?!

- დღე მშვიდობისა, ბატონებო, მოწყენის მიზეზიცა მაქვს, მგოსანო... აქეთ მომავალმა საშინელება ვიხილე, ნეტამც არ მენახა! ეტყობა მონადირეებს ირემი მოეკლათ და შესაწვავად იქვე ტყის პირზედ კოცონი დაენთოთ. როცა ღრეობას მორჩნენ, ცეცხლი არც კი ჩაექროთ - ნახანძრალი ეტყობოდა ირგვლივ მიდამოს, თან ნაგვით იყო სავსე ყველაფერი... აქა იქ ირმის ძვლები ეყარა, ჯერ კაცის და მერე ძაღლების კბილით ნახრავი, ტყე კი ტიროდა...

- ეჰ, ჩემო ვაჟა, განა შენებრ მიაქვს გულთან ყველას ბუნების სატკივარი?!

- განა ყველანი ბუნების შვილნი არა ვართ, განა ისევე არ უნდა ვეკრძალვიდეთ მას, როგორც შვილნი მშობელ დედას?! საბოლოოდ განწირული ვიქნებით ადამიანები, თუ ბუნების გრძნეული ენას არ მივუგდებთ ყურს, მის უხილავ სულიერებას არ ვირწმუნებთ, მის ტკივილს არ გავიზიარებთ...

- ... რაღაც ხარვეზია, ბგერითი და ვიზუალური ტალღები მინელდა, თუმცა საკმარისია რაც ვნახეთ, რას იტყვი?

- გინდაც ადამიანთა უმრავლესობა ვერ ხედავდეს, თუ რაოდენ ზიანი მოაქვთ ბუნებისთვის, შეუძლებელია ის ხალხი გავწიროთ, რომელსაც ასეთი შვილი ჰყავდა. თუმცა ეს ამბები ასზე მეტი წლის წინ ხდებოდა, დარწმუნებული ვარ ამ ხალხს შორის ბუნებაზე მზრუნველი ადამიანები დღესაც მრავლად იქნებიან!

- ბაზიდან ამის შესახებაც მოგვაწოდეს ინფორმაციები, გამოდის რომ არსებობს დედამიწის დღე, ამ დღეს მთელ პლანეტაზე იმართება გარემოს დაცვითი ღონისძიებები, ტარდება მდგრადი განვითარების კვირეულები, რომლებიც დედამიწის პრობლემებს ეხება, საღი გონების ადამიანები ცდილობენ შეამცირონ წიაღისეული საწვავის ჭარბი მოხმარება და ამით ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ დედამიწას იარები, თუმცა ეს ზღვაში წვეთია... აი, ახალი

შეტყობინებაა ბაზიდან, მეტი ინფორმაციისთვის ხომალდი დაჯდეს სადმე უკაცრიელ ადგილას და ერთ ადგილობრივ ოჯახთან დამყარდეს უშუალო კონტაქტი.

- დიახ, ოჯახიც არჩეულია უკვე, აი მისი კოორდინატები და ხომალდის დაჯდომის ადგილი. ეს საქართველოა. ვნახოთ რას ფიქრობენ ამ ქვეყანაში დედამიწის პრობლემებსა თუ ეკოლოგიაზე. რაც მთავარია ენობრივი ბარიერი არ გვაქვს, ტანსაცმელი შესაბამისი აარჩიეთ - მოგზაურის, მასპინძელი რომ არ დაფრთხეს. კაცი სახლში მარტოა, რაც ნაკლები კონტაქტი გვექნება ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, მით უკეთესი. აბა, რომელი გადავა და დედამიწელს გაესაუბრება?

- ერთი ჩვენთაგანი, რა თქმა უნდა, ხომალდზე უნდა დარჩეს! ბაზა, რა ვქნათ?

- რა უნდა ქნათ? ერთი ხომალდზე დარჩით, მეორე დედამიწაზე გადავიდეს!

- და რომელი?

- რომელიც ხომალდზე არ დარჩება ის!

- ბაზა, ხუმრობის ხასიათზე ხარ?

- ყველაფერზე ბაზა, ბაზა, თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, გინდათ ჯეირანი ითამაშეთ!

- მშვენიერი, ანუ საკითხის დემოკრატიული გადაწყვეტა!

- მოგებული რჩება?

- თუ ორივეს გინდათ დედამიწაზე გადასვლა მოგებული გადადის, თუ არც ერთს არ გინდათ, მოგებული რჩება!

- მე გადასვლა მინდა!

- მეც!

- ანუ მოგებული გადადის!

- ასე იყოს! წავიდა: ჯე-ი-რა-ნი...

- მე მაკრატელი, შენ ფურცელი, ანუ მოგიგე. მაგარია, მივდივარ!

- ჩემი ბედი... არ მიმართლებს, რა!

- ბაზა, კიდე რას მეტყვი იმ კაცზე?

- ხო, მოკლედ კაცს სახელად გიორგი ქვია. ამ ქვეყნის მფარველი წმინდა გიორგია, იქნებ საუბრის დროს გამოგადგეს, უცხოდ რომ არ იგრძნო თავი! თან გეა ერთ სხვა ენაზე დედამიწის სახელიცაა და სხვა ხალხი ამ ქვეყანას, როგორც აღმოჩნდა გეორგიას უწოდებენ... ეს ხალხი ძალიან თბილი და სტუმართმოყვარეა, შესაბამისად ეს ადამიანი მიგიპატიჟებს სუფრაზე, ოღონდ უარი თქვი! ვერ გავრისკავთ! ამათ საკვებს და სასმელს როგორ მიიღებს ჩვენი ორგანიზმი, ეს ჯერ გამოკვლეული არ არის! ხო, კიდევ, შენი სახელი იქნება ამირანი - ამ ქვეყანაში ძალიან უყვართ ეს სახელი!

- გასაგებია!

- ღამით მიდი! გაესაუბრე და როცა ყველაფერს გაიგებ ხომალდს ისე დაუბრუნდი, არ მისცე გაცილების საშუალება!

- გასაგებია. ანუ ღამის გასათევი მოვითხოვო?

- ხო!

- მაგრამ ფული?

- გამორიცხულია... ეს ადამიანი ფულს არ მოგთხოვს!

- კარგი, მივდივარ! აბა როგორ დავიძახო?

- როგორც ჩვენთან იციან, სოფლებში... ესეც ხო სოფელია!

- იმედია მტრულად არ შემხვდებიან!... მასპინძელო!

სახლის გვერდიდან ბომბორა ძაღლი გამოვარდა და რამდენჯერმე ხმამაღლა დაიყეფა.

- ბაზა ორი, ჩვენებურ ნაგაზს ჰგავს, ხო?

- ხო, იმედია ჩვენებურ ნაგაზივით მოყვრულად მოსულთან მშვიდობიანია!

ძაღლის შემდეგ სახლის პირველი სართულიდან კაცი გამოვიდა.

- მობრძანდით, რომელი ხარ?!

- მგზავრი ვარ, ბოდიშს გიხდით ასე გვიან სტუმრობისათვის, ღამეს ვერ გამათევინებთ?

- ამას კითხვა რად უნდა, პატივცემულო, სტუმარი ღვთისაა!

- თან მინდა ვიცოდე, რა დამიჯდება?

- აი ეს კითხვა კი ნამდვილად ზედმეტი იყო, მაგრამ არა უშავს, ამჯერად მიპატიებია!

- უხერხულ მდგომარეობაში მაგდებთ!

- ეგ არაფერი, ოღონდ კიდევ ფულს თუ ახსენებთ, გარეთ არ მოგიწიოთ ღამის გათენება! - თქვა კაცმა და გაიღიმა... - მობრძანდით, პატივცემულო, გავიცნოთ ერთმანეთი, ჩემი სახელი გიორგი!

- ჩემი ამირანი!

- ისეთი სახელი გაქვთ პატივცემულო, მართლაც მადლობა უფალს თქვენისთანა სტუმრისთვის?

- რატომ?

- როგორ თუ რატომ, ამირანი ხო ჩვენი გმირია... ცოტა უხერხული კი არის, მაგრამ ისევ კავკასიონზე გვყავს ქართველებს მიჯაჭვული, ან რა ვიცი, იქნება აიშვა და შენ ხარ ის ამირანი! - ისევ გაიღიმა მასპინძელმა.

- თქვენც ლამაზი სახელი გაქვთ, ჩემო ბატონო! გიორგი ხო წმინდა გიორგის სახელია, საქართველოს მფარველი წმინდანის!

- კი, ნამდვილად ასეა! ახლა დავჯდეთ ჩვენ, პაწა წავივახშმოთ და ჭიქაც წავუქციოთ!

- არა, ბატონო, ნაჭამიც ვარ და ნასვამიც! მოვისვენებ მხოლოდ!

- ოჰ, მაწყენინებ ახლა... აი ეს, არ უნდა გეთქვა! სად გამოვყო თავი, კაცი მესტუმრა და მშიერი დავაძინე-თქო?!

- ნუ ეტყვით, ბატონო ნურავის და ვინ გაიგებს?

- ე, არც მაგი არ უნდა გეთქვა! ადამიანო, მე ხო ვიცი და მეცოდინება!

- კარგით! ბატონო გიორგი, რა მაინტერესებს, ამ ზაფხულში ღამითაც კი გარეთ საკმაოდ მაღალი ტემპერატურაა, თქვენთან კი ძალიან გრილა, თუმცა კონდიციონერიც არ ჩანს სადმე!

- ძალიან კარგია, რომ დაინტერესდი! შენც გირჩევ იგივე გააკეთო! სახლის ასეთი კონსტრუქცია მეგობარმა მასწავლა და ამას პროვანსულ ჭას უწოდებენ. სახლის სიახლოვეს ორ მეტრ სიღრმეზე მილები მაქვს გაყვანილი, რომელთა ერთი ბოლო სახლშია, მეორე კი ეზოში, ჰაერზე. გარეთ პატარა ტუმბო მაქვს დაყენებული, რომელიც ჰაერს შეიწოვს, ეს ჰაერი მიწით თბება ან გრილდება - მიწას ხო ორ მეტრ სიღრმეზე სულ ერთი და იგივე ტენპერატურა აქვს, ანუ ზამთარში დედამიწა მათბობს, ზაფხულში დედამიწა მაგრილებს, ისე რომ არც საწვავი მეხარჯება და ჰაერსაც არ ვაჭუჭყიანებ!

- ელექტრო შუქიც გინთიათ, არადა სახლთან რაიმე სადენები ვერ დავლანდე, კვების რა წყაროს იყენებთ?

- ღამით ვერ შენიშნავდი, სახურავზე მზის პანელები მაქვს დაყენებული. გინდაც მოღრუბლული იყოს, დღე დაგროვილი ენერგია ოჯახის საჭიროებისათვის დღეც მყოფნის და ღამეც. ცოტა ძვირი კი დამიჯდა, სამაგიეროდ წიაღისეულ საწვავს არ ვიყენებ, ანუ მზისგან ვიღენ ენერგიას, დედამიწას არ ვაწუხებ და შუქიც ყოველთვის მაქვს, თან გადასახადებისგანაც თავისუფალი ვარ. ხო სახურავს ქვემოდან ისლის კონები მაქვს ჩალაგებული, ესეც ეკოლოგიურად სუფთაა და სითბოს და სიგრილეს ინარჩუნებს... რაზე ვლაპარაკობთ შე კაცო, რა დროს ეს არის? მშიერი იქნები! ჩემი დედაკაცი სახლში არ არის, ბადიშებთან არის თბილისში, შეიძლება ისე ვერ გიმასპინძლო, მარა მოხვეული ხინკალი დამიტოვა და ხაჭაპურებიც, კიტრი პომიდვრის სალათიც გავამზადოთ, თან ცივი ციცქა მაქვს ისეთი, ვერ დამიწუნებ იცოდე! უნდა ვმჯდარიყავი დღეს ასე გამოყრუებული, ხოდა უფალმა გამომიგზავნა შენი თავი! ახლა დამიჯექი აქ! ბევრი კი არაფერი, მაგრამ ხო გაგიგია, მასპინძელსა მხიარულსა მარნის კარი უჭრიალებსო?!

- როგორ არ გამიგია, მაგრამ ნუ წუხდებით ჩემო ბატონო, ნასვამიც და ნაჭამიც ვარ!

- ე, მაი არ უნდა გეთქვა, ხო შევთანხმდით! რავა უცხოპლანეტელივით ლაპარაკობ, შე კაცო?!

- უცხოპლანეტელივით რატო?

- მაი გკითხე მეც? შიმშილით არავის შია დღეს, პაწა ხელს თუ გააქანებს კაცი... ჩავყრი აგერ ახლა მდუღარე წყალში ხინკალს და ხელათ იქნება მზად! ა ბატონო, გადაიღე, ცხელია ხო იცი კაი... ჩანგალი რად უნდა მაგას... აი, ასე დაიჭირე და წვენი შეისრუტე ჯერ! ახლა კაი ხარ! კაცის გვერდით რომ დაჯდები და ჭიქას ჭიქაზე მიუჭახუნებ, აია მადლი... ხოდა

მშვიდობას გაუმარჯოს და ცივი და ცხელი ომის დამქაშებს არ ვაჭამოთ არც ხინკალი, არც ხაჭაპური და არც ციცქა დავალევინოთ... რაის ომი გინდა? რა გინდა, რას ერჩი, თუ გაქ რაიმე პრობლემა, ლაპარაკი ხო იცი - ხოდა თქვი! ადამიანი შეიცოდე, დედამიწა შეიცოდე. რა არის რომ აფეთქებ და ანადგურებ ირგვლივ ყველაფერს... რომ მომცა უფლება, ყველა ომის წამომწყებს სულ უცხო პლანეტებზე გადავყრიდი!

- მშვიდობას გაუმარჯოს! და უცხო პლანეტებზე რატო?

- იმიტომ, რომ ომი და უბედურება უნდა კიდევ ამ საწყალ დედამიწას, ისედაც ძლივს სუნთქავს? გაანებე ამ უცხო პლანეტას თავი... ა, რაფერია ციცქა?

- კარგია...

- კარგია იმიტომ, რომ მიწის მადლი და მზის სითბო აქვს, აპა!

- ხინკალიც და ხაჭაპურიც ძალიან გემრიელია...

- ხოდა აგაშენა ღმერთმა, მოდი მეორე სადღეგრძელოზეც გადავიდეთ. დააკვირდი, რა კაი სიტყვაა - სადღეგრძელო. იმდენი ვიძახე, უცხოპლანეტელიო, ამ ჩვენ დედამიწას გაუმარჯოს და დღეგრძელობა ვუსურვოთ...

... დილით ადრე გაეღვიძა... კავშირის ხელსაწყო შეტყობინებებით იყო სავსე... მასპინძელს, იქვე გემრიელად ეძინა. წერილი დაწერა: ,,პატივცემულო გიორგი, უნდა მაპატიოთ, რომ ასე დამშვიდობების გარეშე გტოვებთ! მადლობა მასპინძლობისთვის! ისეთი ადამიანი ხართ, ვერ მოგატყუებთ, მე მართლა უცხოპლანეტელი ვარ, დიდი მისია მაქვს და სასწრაფოდ უნდა დავუბრუნდე ხომალდს... დღეგრძელობას გისურვებთ თქვენ და დედამიწას!“

  გიორგის ცოტა გვიან გაეღვიძა, წერილი რომ ნახა, წუხანდელი ღამე გაახსენდა. შეწუხდა, ისე რაფერ დავათვრე ის კაცი, რომ თავი უცხოპლანეტელი ეგონა, ჯანმრთელად ხოა, სირცხვილით თავი სად გამოვყოო. მერე გარეთ გამოვიდა, იქნებ სადმე თვალი მოვკრაო. გზაზე მეზობელი დაინახა, რომელიც გზას თავაღერილი მიუყვებოდა, გეგონებოდა იქ რაღაცას კითხულობსო და გიორგი საერთოდ არ შეუმჩნევია. რაფერ გადიდკაცებულა სარდიონიო, გაიფიქრა გიორგიმ. ის იყო დაძახებას აპირებდა, თვითონაც უნებურად მაღლა აიხედა...

 ... ამ დღეს მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ცაზე გამოსახული ქართული ასოები პირველად იხილა. მთელი მსოფლიოს პოლიტიკოსები, ენათმეცნიერები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები, ჟურნალისტები თუ უბრალო მოქალაქეები საგონებელში იყვნენ ჩავარდნილები - შინაარსის გარდა ვერ გაერკვიათ, თუ საიდან ან როგორ გაჩნდა ეს წარწერა: თბილისის დროით ზუსტად ცხრა საათზე ყველა დიდი სამაუწყებლო კომპანია, ყველა კერძო თუ სამთავრობო არხი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ყველა ქალაქისა თუ სოფლის ცაზე გამოსახულ ქართულად დაწერილ სიტყვებს აჩვენებდა:

,,ადამიანებო, გაუფრთხილდით დედამიწას!“